

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა - II ტური

მე-7 კლასი

ძირითადი ამოცანები (40 ქულა)

- რა ნაშთს გვაძლევს 5-ზე გაყოფისას ნამრავლი: $32 \cdot 49 \cdot 17 \cdot 66$?
A. 1-ს
B. 6-ს
C. 3-ს
- ერთი რიცხვი მეორეზე 2-ჯერ მეტია. მათი ნამრავლი 20-ჯერ მეტია მათსავე ჯამზე. რას უდრის ამ ორ რიცხვს შორის უდიდესი?
A. 60-ს
B. 30-ს
C. 90-ს
- რომელია მეტი, $\frac{1}{2} + \frac{1}{5}$ თუ $\frac{1}{3} + \frac{1}{4}$?
A. ტოლია
B. $\frac{1}{2} + \frac{1}{5}$
C. $\frac{1}{3} + \frac{1}{4}$
- თუ წილადის მრიცხველსაც და მნიშვნელსაც გავამრავლებთ ერთსა და იმავე ნატურალურ რიცხვზე, ამით:
A. წილადი გაიზრდება
B. წილადი შემცირდება
C. წილადის მნიშვნელობა არ შეიცვლება
- უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც იყოფა 3-ზე, ხოლო 5-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 2-ს, არის:
A. 87
B. 90
C. 97
- უმცირესი 10ნიშნა რიცხვი, რომელიც განსხვავებული ციფრებითაა ჩაწერილი ციფრების გამეორების გარეშე და იყოფა 5-ზე, არის:
A. 1234567890
B. 1023456789
C. 1023467895
- რამდენი წამია საათნახევარში?
A. 3600
B. 7200
C. 5400
- ნატურალურ რიცხვს 3 გამყოფი აქვს. რა ნაშთს გვაძლევს ის 3-ზე გაყოფისას?
A. 0-ს ან 1-ს
B. აუცილებლად 1-ს
C. აუცილებლად 2-ს

ბონუს ამოცანები (10 ქულა)

- რამდენი ნატურალურგვერდებიანი სამკუთხედი არსებობს, რომლის პერიმეტრი 9-ის ტოლია?
A. 2
B. 3
C. 6
- ამოხსენით განტოლება:
 $7 \cdot 11 \cdot 13 \cdot x + 23 = 60 \cdot 17 \cdot x - (423 - 123)$
A. 17
B. 19
C. 23